№ 17
ხუთშაბათი,
17 სექტემბერი
1909 წ.

# მომავალი

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 17
ხუთშაბათი,
17 სექტემბერი
1909 წ.


## „მომავალი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

**გაზეთის ფასი:** როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მანეთი. 1 სექტემბრიდან წლის ბოლომდე თფილისში 3 მან. თფილისს გარეთ 3 მან. 20 კ. თვიურათ: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნომერი—5 კაპ. ადრესის გამოცვლა ღირს 40 კაპ. (შემოღება მარკებითაც)

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტ ყველაზე ღირს 15 კ. უკანასკნელზე—10 კ.; სამგლოვიარო განცხადება თითოეულ სადამოს 5 ს-ლდე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერაზე დასაბეჭდი განცხადებებში მიიღება რედაქციაში ყოველდღე, დილით 9 ს. სადამოს 2 საათამდე და სადამოს 5—6 საათამდე. ... დილის 11—12 საათამდე.

რედაქცია ხელმოწერილ წერილებს არ ბეჭდავს. **დაუბეჭდავი მცირე წერილები არ ინახება და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.**

რედაქციის ადრესი:
რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.
ფულის გამოსაგზავნი ადრესი:
Тифлисъ, тип. „Сорапань“, Калистрату Конст. Цуладзе.


1374


## მკერვალი ქალი

ვიღებ მოსწავლეებს განურჩევლათ ხნოვანებისა. ვასწავლი ჭრასა და ხატვას სამი თვის განმავლობაში.

**ფასები ყველასათვის ხელმისაწდომია.**

**დუშეთის ქუჩა, № 7.**

ნაფიცი ვექილი
## სერგეი დ. ჯაფარიძე
**ქუთაისიდან გადავიდა თფილისში**
ბროსეს ქუჩა, ახვერდოვის სახლი № 11.
(სასტუმრო „ლონდონის“ ახლოს)

კბილის ექიმი
## ი. შ. ჭანტურია
იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს. სადამოთი 4—8 ს.
კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს)

## ივ. კარუხოვი
გადავიდა ბელინსკის ქუჩ. № 18.

მმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი
**ხუთშაბათს, 17 სექტემბერს** 1909 წელს სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციისაგან ბ-ნ კ. მესხის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

## ჭირვეული ცოლის მორჯულება

კომედია 4 მოქმედებათ შექსპირისა.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს სექციასთან არსებული სცენის მოყვარეთა მთელი დასი,

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ადგილების ფასი 5 კ. 50 კაპეიკამდე.

**ანონსი:** შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება შაბათ სადამოს, 26 სექტემბერს. მზადდება წარმოსადგენათ „ცხოვრების გარეშე“ პროტოპოპოვისა, „შემოსავლიანი ადგილი“ ოსტროვსკისა და სხვა.

**დაბეჯითებით** ვსთხოვთ საზოგადოებას, სხვის ადგილზე ნუ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულიად აკრძალულია. წესიერების დაცვაში, იმედია, თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

რეჟისორი **შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **ხვიჩელი.**

## ოზურგეთში
გადავიდა
## თ. კიკვაძე

**ამზადებს** ქალ-ვაჟთ **გიმნაზიებისა, რეალური, საკომერციო და მიწის მზომელთა** სასწავლებლებისათვის, **კადეტთა კორპუსისა, ბუღალტერთა** კურსებისათვის, **სახალხო სკოლის მასწავლებლათ და აფთიაქის მოწაფეთ და სახალხო სკოლის მასწავლებლად.**

**ქირა** თითო თვის **წინდაწინ.**

**ადრესი: მღვდ. მელიტონ ქავჯარაძესთან.**

(18—13)

კბილის ექიმი
## ს. ვაშაყმაძე
აბასთუმნიდან დაბრუნდა. ავათმყოფებს ღებულობს **ახალ ბინაზე** დილით: 9—2 საათ. სადამოს: 5—7 საათ. ვერის დაღმართი, სახლი № 15.

გაიხსნა ახალი
თფილისის
## კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

**ექ. ე. გ. ფიდლოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

**ექ. გ. დამბაშიძე:** ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შეაჩერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირსა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. ბ. მ. მაკაროვი:** შეაჩერა მიღება 1 სექტემბრამდე.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე 11½—12½ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

**ექ. ი. გომართელი:** ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

**ექ. გ. ხ. მუსხელიშვილი:** ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა 2—2½ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგეობით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური აგნყოფილება 30 საწოლით. 100—60


## მოწოდება

ოზურგეთის წიგნთსაცავ სამკითხველოს გამგეობა, ვსთხოვთ ყველა წიგნების ავტორებს და გამომცემლებს ნუ დაიშურებენ თითო-ოროლა ცალს თავიანთ თხზულება-გამოცემებს და მით ხელი შეუწყონ განათლებას მოწყურებულს ღარიბ გურულ ხალხას განვითარებას. თვითეული შემოწირულება გამოცხადებული იქნება გაზეთში.

წიგნების და აგრეთვე ფულის გამოგზავნაც შეიძლება სამკითხველოს ან გამგეობის ერთ-ერთ წევრის სახელზე.

გამგეობის წევრნი:
**ბ. ბებურიშვილი**
**დიმ. ერისთავი**
**ნიკო კვაშალი**
**სტანისლავ კალატოზიშვილი**
**ს. თავართქილაძე**

(2—2)


## აქციზის მომატების გამო

ყველა თამბაქოს ნაწარმოებზე **50** პროცენტით და **50**-ზე მეტით და თამბაქოს ფემერების გამო

## გოზარჯიანცის

ფაბრიკამ დღეიდან გაიხადა: როგორც წინათ, ესლაც მაღალი ღირსების პაპიროსში გამოუშვებს და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს.

| СИМПАТІЯ № 8 | 10 шт. 6 к. | НАРОДНЫЯ ЭКОНОМІЯ | 10 шт. 4 к. |
|---|---|---|---|

ასეთი ღირსშესანიშნავი ფასის მომატებით ფაბრიკასაც საშუალება ეძლევა გამოუშვას მეტით **მაღალ ღირსების** პაპიროსი და მომავალში ეცდება მათ გაუმჯობესებას, რომ ამით გაამართლოს და გამოიყენოს თავისი ნამდვილი სახელწოდება **ნდობა** 50 წლის განმავლობაში ჩვენი ფაბრიკის პაპიროსი საზოგადოების დიდ ყურადღებით თვალწინ.

**შენიშვნა:** ამ ცნობით (და არა რეკლამით) ბოზარჯიანცის ფაბრიკას სურს გაცნოს პატივცემულ საზოგადოებას საქმის ახალი, ნამდვილი მდგომარეობა.

**970 სტ. აქცზ. უსტ. ძალით, შემოალინიშნულ პაპიროსების მეტ ფასში გაყიდვა, რაც მათ აწერია ალკრძალულია.** (10—2)


### თფილისი, 17 სექტემბერი.

ევროპის ორი დიდი სახელმწიფო ინგლისი და გერმანია ამ ბოლო ხანებში ფლოტის გადიდებას აპირებენ და მის გასაძლიერებლათ რამდენიმე ასი მილიონი გადადვეს, ერთმანეთს არ უნდათ ჩამორჩენ არც ზღვაზე, არც ხმელეთზე და არც ჰაერში. გარეშე მაყურებელისთვის აშკარაა, რომ ისინი ერთმანეთის წინაალმდეგ ემზადებიან, მათ სავაჭრო-სამრეწველო ასპარეზის ნიადაგზე სამკვდრო-სასიცოცხლო ომი უნდა მოუხთეთ. ინგლისი თითქოს დატაკების გუნებაზე არ იყვეს, სამაგიეროთ, გერმანია თავის ხელმწიფის პირით ამას აშკარათ აღიარებს. სამხედრო და საზღვაო ძალების გადიდებას კი, როგორც მოგეხსენებათ, ფული სჭირია. ჩვეულებრივი შემოსავალი არა-ჩვეულებრივ გასავალს ვერ დაფარავს, ამიტომ ერთმა და მეორე სახელმწიფომაც ახალი გადასახადების შემოღება განიზრახეს. გერმანიის ყოფილი სახელმწიფო კანცლერი ბიულოვი ამ ახალი გადასახადების კანონ-პროექტმა აიძულა კანცლერობისათვის თავი დაენებებია, რადგანაც იმ სახით და ფორმით, როგორც მას სურდა, კანონ-პროექტი რეიხსტაგის უმრავლესობამ არ მიიღო.

ახლა ინგლისის ქვედა პალატა ახალი გადასახადების კანონ-პროექტს იხილავს. თუ გერმანიაში ახალი გადასახადები—რეიხსტაგში გატარებულ კანონ-პროექტის ძალით—სულ ერთიანათ ფართო მასის კისერიდან უნდა აიღონ, ინგლისში უფრო მდიდრებზე აპირობენ ახალი გადასახადის გაწერას. კანონ-პროექტის ავტორი, ლოიდ ჯორჯი, გადასახადს უმთავრესათ მაგარი სასმელების ვაჭრობისათვის უმატებს; მეორე წყაროთ უნდა მემკვიდრეობაზე გადასახადი და ზედმეტი ღირებულება უძრავი მამულების, რომელიც გამოწვეულია სრულიად დაუმსახურებლათ. დღეს თუ ხვალ ქვედა პალატაში ეს კანონ-პროექტი უცვლელათ მიღებულ იქნება, რადგან ქვედა პალატის უმრავლესობას ლიბერალები შეადგენენ, კონსერვატორთა რიცხვი კი ისე მცირეა, რომ მათ არავითარი ცვლილებების შეტანა კანონ-პროექტში არ შეუძლიათ, შეუძლიათ მხოლოდ რამდენიმე ხნით დააგვიანონ მისი საბოლოვოთ გატარება ობსტრუქციის საშუალებით. საქმე ზედა პალატაზეა, მას უფლება აქვს კონსტიტუციის ძალით ან სრულიად არ მიიღოს, ან უცვლელათ დაამტკიცოს, ცვლილების შეტანის ნება არ აქვს. ზედა პალატაში უმრავლესობა ლორდებია—მსხვილი მიწათმფლობელნი; ახალი გადასახადი მათი ჯიბისთვის ფრიად საგრძნობელი იქნება და ეს გარემოება იწვევს მათში დიდ მღელვარებას. ჯერჯერობით ეს მღელვარება პრესაში და მიტინგებზე იხატება. ისინი ლიბერალებს სოციალისტობას სწამებენ ამგვარი გადასახადების კანონ-პროექტის შედგენისათვის, მათ სამშობლოს მოღალატეთ რაცხენ და მოუწოდებენ ინგლისის მკვიდრთ მათ წინაალმდეგ. ლიბერალები თავის მხრით მათ სამკვდრო-სასიცოცხლო ომს უცხადებენ და პირდაპირ ემუქრებიან, რომ ზედა პალატა—ლიბერალების საბატონო, საუკუნოთ ექნება მოსპობილი, თუ ბიუჯეტი უცვლელათ არ იქნა დამტკიცებულიო. ლიბერალებისკენ არის თანაგრძნობა მუშების და დანარჩენ მცხოვრებთა უმრავლესობის. ყველასთვის დიდ საინტერესო კითხვას წარმოადგენს: როგორ მოიქცევა ამ შემთხვევაში ზედა პალატა, მიიღებს ბიუჯეტს, თუ უარყოფს მას? ვთქვათ, ზედა პალატამ არ დაამტკიცა ბიუჯეტი. ამას შედეგათ მოყვება ქვედა პალატის დათხოვა და ახალის არჩევა. მაგრამ ამავე დროს ლიბერალურმა სამინისტრომ და მასთან ერთათ მთელმა ლიბერალურმა პარტიამ უნდა წამოაყენოს ლოზუნგათ: ძირს ზედა პალატა, გაუმარჯოს ახალი გადასახადების კანონ-პროექტს! ხალხმა თუ ამ ლოზუნგით იხელმძღვანელა, მაშინ ლიბერალები იმარჯვებენ და ზედა პალატის მოსპობის კითხვა პირდაპირ ისმება ქვედა პალატაში და ის კიდევაც გავა, რადგანაც გადასახადების კანონ-პროექტი სხვა სახით ცხოვრებაში არ გატარდება. ვთქვათ, ზედა პალატამ არ მიიღო ბიუჯეტი, ქვედა პალატა დაითხოვა სამინისტრომ და ახალ არჩევნებში დამარცხდა ლიბერალური პარტია, მაშინ კონსერვატორები ამ კანონ-პროექტს უკუ აგდებენ, შემოიღებენ ახალი გადასახადების მაგიერ საბაჟო სისტემას, უცხოეთიდან შემოსულ საქონელს გადასახადებს დაადებენ, რაც ნიშნავს მათ გაძვირებას და ხალხის უმრავლესობის გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩაყენებას. ეს გარემოებაც ისეთი მნიშვნელოვანია, რომ ტყუილა უბრალოთ არ ჩაივლის. გამოიწვევს ხალხის აჯანყებას. შედეგი აქაც იგივე იქნება: ლორდთა ბატონობის მოსპობა, მათი პალატის გაუქმება. აშკარაა, ლორდების მდგომარეობა პირველ და მეორე შემთხვევაშიც ერთნაირათ საშიშარია. თუ ისინი ამას გრძნობენ და კარგათ გათვალისწინებულნი აქვთ, მაშინ არჩევენ ქვედა პალატის გადაწყვეტილების უხმოთ დამორჩილებას, ესე იგი, ბიუჯეტის დამტკიცებას. მართალია, ახალი გადასახადები მეტ გროშებს მოითხოვენ მათი ჯიბიდან, მარა, სამაგიეროთ, ძველი მდგომარეობა შერჩებათ, ინგლისის ხალხი ამ ქამათ მიით დაკმაყოფილდება და მეტ მსხვერპლს მათგან ამ ხელით არ მოითხოვს. რა გზას დაადგებიან ლორდები, ეს ჯერჯერობით ყველასთვის გამოურკვეველია. ჯერ კიდევ საზოგადოებრივი აზრის გაგება უნდათ, მისი აწონ-დაწონვა და მისი მიხედვით მოქმედება. რამდენათაც იქვევა, ეს საზოგადოებრივი აზრი ჯერ მათ მხარეზე არ არის: რაზბერის სიტყვას, ბიუჯეტის წინააღმდეგ მიმართულს, ყურს უგდებს 8,000 კაცი, ასკვიტის სიტყვას, რომელიც წინააღმდეგ წარმოთქმულ 80,000, განსხვავება დიდია! ამას დაუმატეთ მუშათა მასის თანაგრძნობა და იქედ ადვილათ წარმოიდგენთ, ვის მხარეზე საზოგადოებრივი აზრი. ახლო მომავალმა უნდა გადაჭრას ლორდების პალატის ყოფნის თუ არ ყოფნის კითხვა.

### კანონ-პროექტები მუშათა შესახებ.

II

რუსეთის მთავრობა, როგორც ვთქვით, ორ კანონ-პროექტს ამზადებს მუშათა დაზღვევის შესახებ სახ. დუმაში შესატანათ. ეს კანონ-პროექტები ეხება პირველი საავათმყოფო კასების დაარსებას, მეორე უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევას. განვიხილოთ ცალ-ცალკე თვითეული პროექტი. დავიწყოთ უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევის პროექტიდან.

დაზღვევის საქმეში ჩვენ ვარჩევთ სამ მხარეს: დაზღვეულთა რაოდენობას, დასაზღვევ თანხის სიდიდეს და მის ორგანიზაციას.

გერმანიის პროექტის პირველი მხარე საკმაოთ სრულია. იგი ამბობს, რომ სავალდებულო დაზღვევა ყველა მუშების, რომელნიც მუშაობენ მთამადნებში, ქარხანა-ფაბრიკებში, რკინის გზაში, ტრამვაიებზე და აგრეთვე სახელოსნოებში, საამშენებლო საქმეში, გადაზიდვაში და ყოველგვარ სატრანსპორტო წარმოებაში, საწყობებში, სათევზაოებში, სოფლის მეურნეობაში, ტყის მუშაობაში, ზღვის და მდინარეების სანავოსნოებში და ასე წარმოიდგინეთ, ფოსტა-ტელეგრაფის სამსახურზე, ტელეფონებზე, სამხედრო და საზღვაო უწყებაში და სხვ. ყველა ამ დარგებში თვითეული დაწესებულება, რომელშიაც 2-ზე მეტი მუშა მუშაობს, **ვალდებულია** დაზღვევაში მონაწილეობა მიიღოს, ამასთანავე თვითეული დამზღვევ საზოგადოებას და მოკავშირე სახელმწიფოებს შეუძლიათ დაზღვევა გაავრცელონ ამ ფარგალს გარეშეც ყველა მომუშავეებზე, შინათა მომუშავეებზედაც კი. რუსეთის კანონ-პროექტით, რომელიც გერმანიის ტიპზეა შედგენილი და მის შემოკლებულ მთელს წარმოადგენს, ეს დაზღვევის სფერა ასეა შეზღუდული: 1 პუნქტი ამ პროექტისა ამბობს, რომ დაზღვევის კანონს ექვემდებარებიან ის საფაბრიკო ქარხნები, სამთო და სამადნო, რკინის გზის, შინაურ წყლებზე სანავოსნო და ტრამვაის დაწესებულებები, სადაც 20 მუშაზე ნაკლები არაა და ორთქლის ქვაბებს ან მანქანებს ამუშავებენ, ანდა აგრეთვე ისეთ ზემოდასახელებულ დარგის საწარმოვო დაწესებულებაში, სადაც ორთქლის ქვაბები და მანქანები არ მოქმედებენ, მარა **მუდმივ** მუშათა რიცხვი 30-ზე ნაკლები არაა“. პირველ შეხედვითვე ცხადია, აქედან გერმანიის კანონამდე დიდი საზღვარია, მთელი რიგი დარგებისა და მთელი რიგი წვრილ წარმოებების კანონის მოქმედებისაგან სრულიად განთავისუფლებულია. სოფლის მეურნეობა, ფოსტა, ტრანსპორტი და მრავალი სხვა მსხვილი დარგები უყურადღებოთაა დატოვებული, მათი მუშების დაშავება-დასახიჩრება ჩვენ ბიუროკრატიას არ ეინტერესება.

მარა ეს კიდევ არაფერი. 1 პუნქტი კიდევ ფართოთ მოჩვენებია პროექტის ავტორთ და შემდეგი მუხლებით მის ფარგლებს ხელ-ახლა ზღუდავენ.

2 პუნქტით ამ კანონის მოქმედებიდან გამოტოვებულია აღნიშნული დარგების

ყველა **სახაზინო** დაწესებულებები და იმ რკინის გზის საზოგადოებები, რომლითაც საზოგადოება სარგებლობს". არის კი ისეთი რკინის გზა, რომლითაც საზოგადოება არ სარგებლობს? დიახ, არის და ესაა ქარხნის **მისავალი**ლიანდაგები, „საპოდიეზდო გზები" და სხვა ასეთი, რომლითაც კერძო დაწესებულება სარგებლობს. აი, ამათთვის შეიქნა საჭირო პირველ პუნქტში რკინის გზის დაწესებულებების გამოჭიმვა. სიტვა ითქვა და შემდეგ შინაარსი წაერთვა.

ჩავყვეთ ქვევით. მესამე პუნქტი ანთავისუფლებს სავალდებულო დაზღვევისაგან საერობო და ქალაქის თვითმართველობათა დაწესებულებებს. ამნაირათ, დამზღვევ წარმოებათა რიცხვი ხელახლა მცირდება. საკვირველია, პირველი პუნქტი განსაკუთრებით იხსნიებს ტრამვაის მუშებს, მესამე კი, ამ „განსაკუთრებულობას" ძირს უთხრის· სადაც ტრამვაი კერძო „არენდატორის" ხელშია, როგორც თფილისში, მუშების დაზღვევა სავალდებულოა, საცა ტრამვაის თვით ქალაქი აწარმოებს, როგორც პეტერბურგში და მოსკოვში, იქ მუშები დაუზღვეველი რჩებიან. როცა თფილისის ტრამვაი ისევ ქალაქს დაუბრუნდება, მისი მუშებიც დაზღვევის უფლებას დაკარგავენ. პროექტის ავტორები ასეთ „თავისებურებას" იმით ამართლებენ, რომ ქალაქებს და ხაზინას დიდი წარმოებები აქვთ და დაზღვევა მათგან ბევრ ხარჯს მოითხოვსო. მათთვის უფრო ხელსაყრელია განსაკუთრებული სათადარიგო თანხა შეადგინონ და ამ თანხიდან დაშავებულ მუშებს შემწეობა აღმოუჩინონო. ამ „ბრძნულ" მოსაზრებას კრიტიკა არ სჭირდება, მისი სრული ულოღიკობა ისედაც აშკარაა.

რათ დასჭირდათ პროექტის ავტორებს ასეთი შეზღუდვა ამ კანონ-პროექტის სამოქმედო ასპარეზისა?

თვით ავტორები მიზეზათ ფაბრიკანტების და მუშების საერთო უკულტურობას და მოუმზადებლობას აცხადებენ. ამის დასამტკიცებლათ გერმანიის მაგალითსაც კი იშველიებენ. იქ წინეთაც ფართეთ იყო გავრცელებული ხაზინების მონაწილეობა საზღვევ კასებშიო, მაგრა ავიწყდებათ, რომ ასეთი გულკეთილობა და კულტუროსნობა გერმანიის ფაბრიკანტებმა განსაკუთრებით მას შემდეგ გამოიჩინეს, როცა მთავრობამ ისინი გახადა პასუხისმგებელი მუშების დასახიჩრებაში. ასეთი მონაწილეობით ისინი თავის თავს, ე. ი. თავის მოსალოდნელ ხარჯებს უფრო აზღვევდენ და არა მუშებს. ნამდვილ კულტუროსნობას თუ ქონდა ადგილი, ეს მხოლოდ გამონაკლ შემთხვევებში.

რომელ შემთხვევაში არ ეკუთვნის მუშას პენსიის მიცემა?

ამაზე ხვალ.

**რ. ა.**

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 სექტემბერი.

### ოსმალეთი

**სალონიკი.** სოფელ ბელანცის ახლო ალბანელები ქალაქ გილიარის კაიმაკარს ჩაუსაფრდენ. მოუკლეს ერთი მხლებელი. პრიშტინიდან და მიტროვიციდან ჯარები გაგზავნეს. ვოდენის ოლქის სოფელ სარაკინის მცხოვრებ ბულგარელებმა მოკლეს ყოფილი „ვოევოდა" კოლიმანი.

### საზღვარ-გარეთ.

**მადრიდი.** სამხედრო მინისტრის განცხადების თანახმათ, პადარის ახლო მდგომმა ესპანიის ჯარმა ბრძოლა განაახლა. ოფიციალურათ იტყობინებიან, რომ ესპანელებმა სელუანის კაბაზა დაიპყრეს.

**მელილია.** 14 სექტემბერს დილის 11 საათზე ადგილობრივ მცხოვრებთა მეთაურების სახლები იწვის. ცეცხლი გაუჩინეს იმ მაროკოლოებმა, რომლებიც ესპანელთა მხარეზე გადმოვიდენ, ისინი შურს ძიობენ.

**ათინა.** მარსის ველზე მოხდა ათინის და პირეის კორპორაციის 90 კავშირის კრება. დაესწრო 70,000 კაცზე მეტი. კრებამ პროტესტი გამოაცხადა შინაურ პოლიტიკის შესახებ და მტკიცე სურვილი განაცხადა მთელი ნაციის მხრით, რომ მთელი მართვა-გამგეობა პროგრესის გზას დაადგეს. კრებამ დაადგინა მიართვან მეფეს მინისტრ-პრეზიდენტის ხელით ადრესი, რომლითაც ერთგულება უნდა განუცხადონ ნაციას, მეფეს და კონსტიტუციას და წინადადებას მისცემენ მეფეს მოახდინოს შესაფერი რეფორმები. კრების მონაწილენი სასახლისკენ გაემართენ, სადაც დელეგატებმა მიართვეს ადრესი მეფეს. მან წერილობით პასუხი მისცა და შემდეგი განუცხადა: „იმედი მაქვს ჩემი მთავრობა, რომელიც ჩემის სრული ნდობით სარგებლობს, აგრეთვე პალატაც, რომელიც პატრიოტებისაგან შესდგება, თქვენ მოთხოვნებს სამართლიანათ სცნობენ, ქვეყნის განახლება, რომლისაკენ როგორც მე, ისე თქვენ მიისწრაფით, კონსტიტუციის თანახმა მოხდება. ხალხმა ოვაცია გაუმართა მეფეს.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატამ განაგრძო საფინანსო ბილლის განხილვა. მთავრობასა და ოპოზიციას შორის შეთანხმება მოხდა, რომ დაწვრილებით განხილვა 23 სექტემბერს დასრულდება. სესია ნოემბრის დაწყებამდე გაგრძელდება.

**მადრიდი.** მინისტრთა საბჭომ დაადგინა წარუდგინოს მეფეს დასამტკიცებლათ დეკრეტი, აღდგენილ იქნას კონსტიტუციონური გარანტია ყველა პროვინციებში ბარცელონასა და გერონის გარდა.

**ბუდაპეშტი.** დეპუტატთა პალატა. კაბინეტის გადადგომის შესახებ განცხადების გამო კამათის დროს, ვეკერლემ განაცხადა, რომ მან წინადადება მისცა მეფეს კრიზისის თავიდან ასაშორებლათ. ჩვენ ველოდით სთქვა ვეკერლემ,—რომ გვეგონა მეფე დაგვეხმარებოდა ჩვენს საქმეში გარეშეთა ჩარევის წინააღმდეგ, ამის იმედი ჩვენ მით უფრო გვქონდა, რომ გვეგონა, მეფე კონსტიტუციონურ თვალ საზრისით უყურებდა საქმეს. შემდეგ ვეკერლემ სთქვა, რომ მან წინადადება მისცა მეფეს საარჩევნო რეფორმების შესახებ და მონარქიის ორივე ნაწილისთვის საერთო ბანკის შენახვის. ლაპარაკის დროს ვეკერლემ დაბეჯითებით მოითხოვა, რომ ჯარის ემბლემაზე ვენგრიის სახელმწიფოს გამოხატულობა იყოს და ჯარში ვენგრიელი ენა იყოს. ამ წინადადებას მომხრეები არ გამოუჩნდა მინისტრთა საბჭოში. დასასრულ, ვეკერლემ განაცხადა, რომ ის და მისი ამხანაგები სტოვებენ თავიანთ ადგილებს, დარწმუნებულნი, რომ პატიოსნათ შეასრულეს თავიანთი ვალი.

**ბუდაპეშტი.** დეპუტატთა პალატა. ვეკერლემ განაცხადა, რომ თავის დეკლარაციის თანახმათ მთავრობა სამსახურიდან გადადგა, რადგან კაბინეტსა და იმ პარტიას შორის, რომელზედაც ის დაყრდნობილი იყო, კომპრომისს ბოლო მოეღო. მე წინადადება მივეცი მეფეს სცნოს უმრავლესობის მეთაურათ კოშუტი (მარცხნით მოწონება), რაზედაც ის დათანხმდა.

### რუსეთი

**ვილნო.** სამხედრო-საოლქო სასამართლოში გაირჩა საქმე სადგურ ბეზდანაზე მატარებელზე თავდასხმის შესახებ. სამს გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა, ორს შვიდი წლის და ერთს ოთხი წლის კატორღა.

**ვარშავა.** დღისით მოხდა საზარელი ბოროტ-მოქმედება. შურის-ძიებით მოკლეს მუშა და მისი საყვარელი. დასჭრეს სამი ბავშვი ხუთ-ხუთი წლისა.

**პეტერბურგი.** დაბრუნდა სახელმწიფო დუმის თავმჯდომარე ხომიაკოვი.

სამხედრო-საოლქო სასამართლოში დაიწყო პარტია „ვოლა"-ს სამხედრო ორგანიზაციის 33 წევრის საქმე. მათ აბრალებენ აჯანყების მოხდენას. საქმე დახურულ კარებში ირჩევა. გაგრძელდება რამდენიმე დღეს.

**სარატოვი.** ბალაშოვოში დაიწვა დედათა მონასტრის წისქვილი და 12,000 ფუთი პური. დაიღუპა 5 მუშა. ზარალი 300,000 მანეთია.

კუზნეცოვის მაზრაში დაიწვა 56 სახლი. ცეცხლისაგან სამი კაცი დაზიანდა, ერთი მოკვდა.

**პავლოგრადი.** სოფელ როჟდესტვენსკში დაიწვა 45 სახლი, აგრეთვე სავოლოსტო სასამართლო მთელი საქმეებით.

**ასტრახანი.** თავს დაესხენ სახელმწიფო არყის დუქნის მეარტელეს. წაართვეს 6850 მანეთი და მიიმალენ.

**იაროსლავლი.** საგუბერნიო აგრონომიულმა სიეზდმა სასურველათ სცნო გუბერნიაში მარცვლების დასაწმენდ პუნქტების დაარსება, თესლის და ბალახის შენახვა და სხვა.

### ხ ო ლ ე რ ა.

**პეტერბურგი.** დღე და ღამეში ხოლერით ავათ გახდა 38, მოკვდა 38, ავათ არის 363.

**იაროსლავლი.** ავათ გახდა 23, მოკვდა 9.

# უკანასკნელი ფოსტა

### სპარსეთი.

**მთავრობის ანგარიში.** სპარსეთის ახალმა მთავრობამ თავისი მოქმედების ანგარიში გამოაქვეყნა. ეს პირველი მაგალითია სპარსეთის ისტორიაში, რომ მთავრობა თავის მოქმედების ანგარიშს აქვეყნებს. უმაღლესი მთავრობის ძალა ფაქტიურათ სეპეხდარის ხელშია, რომელიც დღეს სპარსეთის სამხედრო მინისტრის თანამდებობას ასრულებს. უმაღლესი საბჭო დათხოვნილია. საბჭოს წევრები ახალ მეჯლისში იქნებიან არჩეულნი. მცირე, რიცხოვან რუსეთის ტელეგრაფის მოხელეებმა, რომელნიც რამდენიმე თვის განმავლობაში დაუღალავათ შრომობდენ, თავიანთი მთავრობისაგან უარი მიიღეს ხვედრი ჯილდოს მიღებაზე.

**ახალი ელჩი.** რუსეთის ახლათ დანიშნულ ელჩს პავლოვსკი-კოზელს, რომელიც უკვე თეირანში მოვიდა „რ. ს." კორესპონდენტისთვის, სხვათა შორის, უთქვამს: სამწუხაროთ, რუსის ჯარში ბევრი ავათმყოფებია. აფიცრები გულ-გატეხილია. სპარსეთიდან რუსის ჯარის გამოსვლის შესახებ ელჩმა გადაჭრით არაფერი სთქვა.

### ოსმალეთი.

**ალბანელთა აჯანყება.** ჯევად-ფაშას და ალბანელთა შორის ბრძოლა ისევ გრძელდება. ამას წინათ ალბანელები თავს დაესხენ მთავრობის ჯარს და დიდი ზარალი მიაყენეს. სამშაბათს ჯევად-ფაშამ დასწვა ალბანელთა ერთი სოფელი. ალბანელებმა მთავრობის ჯართან შეტაკების დროს სამას კაცამდე დაკარგეს. ჯევად-ფაშამ 37 ალბანელთა ხელმძღვანელი წაიყვანა ტყვეთ. ალბანელები მთებში იხიზნებიან.

### რუსეთი

**მაკლაკოვის მოხსენება.** ამ დღეებში დუმის დეპუტატმა მაკლაკოვმა მოსკოვში მოხსენება წაიკითხა დუმის მოღვაწეობის შესახებ. მაკლაკოვი, სხვათა შორის, „გ. მ." სიტყვით შეხებია დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას და შემდეგი უთქვამს: ვინაა დღევანდელი მდგომარეობის პასუხის მგებელი—მთავრობა თუ დუმა, რომელმაც ვერ განახორციელა ის მცირედი რამეც, რომლის განხორციელებაც მის ხელში იყო? მართალია, მთავრობა რეაქციას დანებდა, დაემორჩილა, მაგრამ მე მინდა ბოლომდე მიუდგომელი ვიყო, ამიტომ მე სრულიად არ ვდებ ბრალს მთავრობას იმაში, ვითომც მას ახალი წეს-წყობილების ლიკვიდაცია სურდეს. პირ-იქით, მთავრობა იცავს კიდეც კონსტიტუციას და სხვა.

მთავრობა კონსტიტუციას იცავს! ეს განცხადება კიდევ ერთხელ ნათლათ ამტკიცებს თუ რა მოდგმის და რამდენათ საიმედო ოპოზიციონერები არიან კადეტები.

**ვიბორგის გუბერნიის შემოერთება.** როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, მინისტრთა საბჭო ოქტომბერში ერთ-ერთ სხდომაზე გაარჩევს კანონ-პროექტს ვიბორგის გუბერნიის შემოერთების შესახებ.

**არჩევნები.** ბესარაბიის გუბერნიაში საერობო არჩევნებზე გაიმარჯვეს პროგრესისტებმა.

**რუსეთის საქონელს ბაზარი ეკარგება.** ლოძის მსხვილი ქარხანა, რომელიც შეიბლერს ეკუთვნის, სპარსეთში სავაჭრო ფირმების ლიკვიდაციას ახდენს. შეიბლერი პირველი მექარხნეა, რომელმაც სპარსეთში საქონლის გატანა დაიწყო. ის ირწმუნება, რომ სპარსეთის ბაზარი რუსეთის მრეწველობისათვის უკვე აღარ არსებობსო. ამ მოვლენის მიზეზათ სთვლიან სპარსელების რუსებისადმი ცუდ განწყობილებას.

**დეპუტატი ქალაქის თავათ.** სახელმწიფო დუმის წევრი გოლოლობოვი (მემარჯვენე) დეპუტატობაზე უარს ამბობს. ის თავის კანდიდატურას აყენებს ქალაქის თავის ადგილზე ეკატერინოსლავში.

**იაპონიის საიდუმლო პოლიციის უფროსი.** მოსკოვიდან პეტერბურგში წასულა ტოკიოს (იაპონიაში) საიდუმლო პოლიციის უფროსი მაზახირო-ოტა. მას აზრათ აქვს გაეცნოს, თუ როგორ არის რუსეთში საიდუმლო პოლიციის საქმე მოწყობილი. პეტერბურგს გარდა მაზახირო-ოტა ევროპის მსხვილ ცენტრებსაც დაივლის.

**ამრჩევლები და დეპუტატები.** დეპუტატებს ბევრი თხოვნები და შუამდგომლობის მიმართვები მოსდით ამრჩევლებისაგან. დეპ. კუზნეცოვს მოსვლია მოხსენება ფოსტის მოხელეთაგან მათ აუტანელ გაჭირვებაზე; დეპ. ეგოროვს—ურალის მუშებისაგან; დეპ. პოკროვსკის მაიკოპის მცხოვრებთაგან გადასახადების უსამართლოთ გაწერაზე; გეგეჭკორს—გორის და პლასტუნკის გლეხთა საზოგადოებებისაგან.

**საინტერესო რეზოლიუცია.** კრაკოვში „რეჩის" სიტყვით მოხდა სიეზდი „პ. პ. ს. რევოლიუციონური ფრაქციისა", რომელმაც თავი „პოლონელთა სოციალისტურ პარტიის" სიეზდათ გამოაცხადა.

სიეზდმა მიიღო რამოდენიმე საგულისხმიერო რეზოლიუცია პოლონელთა საჭირ-ბოროტო კითხვების შესახებ.

მაგ., სიეზდმა განიხილა საკითხი პოლონელთა მოქმედების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ გერმანია პოლონელთა სამეფოს თავს დაესხმის. ამ კითხვების შესახებ რეზოლიუციას ანტი-გერმანული ხასიათი აქვს და წინადადებას იძლევა გერმანიის მთავრობის „აპეტიტის" წინააღმდეგ მიღებულ იქნეს ზომები.

სიეზდმა რეზოლიუცია გამოიტანა „ნეოსლავიანთა" მოძრაობის წინააღმდეგ, როგორც „უგოდოველების" რეაქციონურ და საზარალო მოძრაობის წინააღმდეგ.

სიეზდმა განიხილა აგრეთვე ხოლმის საკითხი და, სხვათა შორის, შკოლების ბოიკოტი დაადგინა.

**მიქიაშვილის საქმე.** „ოდ. ნოვ."-ს ტის სიტყვით მიქიაშვილის საქმის შესახებ წინასწარი გამოძიება უკვე დაუსრულებიათ. როგორც ვიცით, მიქიევი ფულის გაფლანგვისათვის არის პასუხის გებაში მიცემული. მთელი გამოძიება გადაუციათ პროკურორისთვის, რომელსაც საბრალმდებლო ოქმი უკვე შეუდგენია. ამ დღეებში საბრალმდებლო ოქმს მიქიაშვილს ჩააბარებენ. საქმე სამოსამართლო პალატის დეკემბრის სესიაში გაირჩევა.

### საზღვარ-გარეთ

**ბიულოვი და კონსერვატორები.** ყოფილი კანცლერი ბიულოვი ამ ბოლო დროს კონსერვატორებმა ძალიან გააბრაზეს მისი მოქმედების გამოაშკარავებით. ბიულოვი გაზეთებში აცხადებს, რომ მას არ სურს კონსერვატორების პროვოკაციას პასუხი გასცეს და ამით ახალი ალიაქოთი გამოიწვიოს.

**ყუმბარის აფეთქება ბარცელონაში.** ბარცელონიდან გაზეთებს ატყობინებენ: 9 ენკენისთვეს ერთ ქუჩაზე ჯოჯოხეთის მანქანა ააფეთქეს. აფეთქების დროს დაიჭრა ერთი გოროდოვოი და ექვსი გარეშე პირი. ისპანიის სამხედრო სასამართლოების დადგენილებით 60 კაცს, ბარცელონაში და მის მიდამოებში მცხოვრებთ, სახელმწიფოს საზღვრებიდან აძევებენ. მათ ბრალდებათ ანარქისტების შენახვა.

ქალაქში თითქმის ყოველ დღე ყუმბარებს აფეთქებენ ქუჩებზე. ტერორისტული აქტები გახშირდა. მთავრობის დაწესებულებებს პოლიციელთა რაზმები იცავენ.

**ფერრერის სიკვდილით დასჯას უპირებენ.** ბარცელონიდან „რ. ს." ატყობინებენ, რომ ცნობილი საზოგადო მოღვაწე ფერრერი მონჟუიჩში გადაიყვანეს, რაც ცუდ ნიშნათ მიაჩნიათ ისპანიაში. ამბობენ, მას ციხეში გაასამართლებენო. ქალაქში პროკლამაციები გააკრეს, რომლითაც მეფეს სიკვდილს ემუქრებიან, თუ ფერრერს სიკვდილით დასჯიან.

**სუფრაჟისტკების მუქარა.** ამას წინათ ბირმინგამში (ინგლისი) ასკვიტს ლაპარაკის დროს სუფრაჟისტკებმა სახლის სახურავიდან აგურები დაუშინეს. სუფრაჟისტკები დაიჭირეს და გაასამართლეს: ორს გადაუწყვიტეს ოთხი თვის კატორღა, ერთს—სამი თვის, ხუთი დააჯარიმეს. ეს პირველი შემთხვევაა, როცა სუფრაჟისტკებს კატორღაში გზავნიან. სასამართლოს გადაწვეტილებას დამსწრე ქალები პროტესტით შეხვდენ. ისინი იმუქრებოდენ, რომ მომავალ მიტინგზე მინისტრ ასკვიტს უსათუოთ მოვკლავთო.

## სპარსეთის დღევანდელი მდგომარეობა

სპარსეთი—აი ქვეყანა, რომელიც დღეს იპყრობს მთელი ქვეყნის ყურადღებას. ქვეყანა, რომელიც აქამდე იყო აგდებული, დღეს მთელი აზიის ცენტრათ იქცა. ჩვენ გვქონდა შემთხვევა გავცნობოდით კავკასიის ერებს და აღვენიშნა ის სასიამოვნო მოვლენა, რომ სპარსეთის რევოლიუციამ თვალები აუხილა კავკასიელ თათრებს და რეაქციონურ-პროვოკატორულ მოქმედებას, რომელიც შემდეგ ისეთ საშინელი წლები, როდესაც თათარ-სომეხთა ელეტ-მოეტი, დღეს იგი დამღუპველ და ერის გამანადგურებელ პოლიტიკათ იქნა აღიარებული. კავკასიელების მონაწილეობის მიღებამ სპარსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში ყველა აქაური ერები დააახლოვა და რაღაც დიად მომავალს უმზადებს მათ ისტორიას. სპარსეთის მოძრაობამ და მისმა გამარჯვებამ ჩვენ ხალხში იმედები აღძრა და სასტიკ რეაქციის დროს გაასალკლდევა. დღეს არაჩვეულებრივი ამბები ხდება ცხოვრებაში და ამ მოვლენას ყველაზე უფრო კავკასიის პრესამ უნდა მიაქციოს ყურადღება. ევროპის და რუსეთის გაზეთებში ათასნაირი გადამახინჯებული ამბები იბეჭდება. ამ ბოლო დროს ხმები გაავრცელეს გაზეთებში: თითქოს ასადი, სეპეხდარი, სათარხან-ბაგირხანი ერთმანეთში იბრძვიანო—რეაქციის ძალები კი იკრიბება და ქვეყნის განადგურებას უპირებსო, საჭიროა უცხო სახელმწიფოს ჩარევა საქმეშიო! ეს პოლიტიკა საიდანაც წარმოდგა და ვინც აწარმოებს უკვე ცნობილია და აი, სწორეთ აქ არის საჭირო კავკასიის პრესამ ხმა ამოიღოს და ევროპის პრესის საშუალებით გააშუქოს საქმის ნამდვილი ვითარება. თუმცა ჩვენ დღეს არ გვცალიან სპარსეთის ამწყო ვითარებაზე გრძელი წერილების წერისათვის, მაინც გვინდა საზოგადოებას მოკლეთ გავაცნოთ საქმის მდგომარეობა.

თეირანის აღების შემდეგ სპარსეთის მოწინავე ძალები შეიკრიბენ თეირანში და პარლამენტის მოწვევამდე შეადგინეს დროებითი მთავრობა, რომლის რიცხვი ოცამდეა, და რომლის სოციალური შემადგენლობა ვეცდები თავის დროზე ავღნიშნო. აქ წარმოიშვა სხვადასხვა პარტიები თავისი ტაქტიკა-მოსაზრებებით. სამწუხაროთ, ზოგი პარტიის წევრი პოლიციის როლშიაც გამოვიდა, როგორც მაგალითად ეფრემი, რომლის გამოსვლა ჩვენ არა სასურველათ მიგვაჩნია... შახს მიეცა წინადადება გასულიყო ირანიდან, მარა ის დღეს აგვიანებს გასვლას და დღეში ორ საათს მოგზაურობს—9 საათიდან 11-მდე. მის შესახვედრათ გაიგზავნა კასპიის ზღვის სამხედრო ბატარეია და გემი კი დიდი ხანია უცდის, რომელიც 13 ამ თვეს უკან დაბრუნდა ბაქოში სურსათ-ნახშირის მისაღებათ. შახს რუსეთის ჯარი ყარაულობს ირანში.

ამ დროს რახიმ-ხანი რეაქციონერებს აგროვებს. შახსევანებს და ქურთებს გამოცდილ მეთაურებს უნიშნავენ. შახი კაზვინ-რეშტს შუა ითრევს ფეხს. რახიმ ხანი ოთხი დღის სავალზე ახლავს დასავლეთ ჩრდილოეთით თეირანის გზაზე. უეჭველია, ზოგი პირები და ვითომდა რევოლიუციის მომხრეები, მოყიდულნი არიან დაინტერესებულ სახელმწიფოსაგან... დროებით მთავრობა სწრაფათ ვერ მოქმედებს და გაბედულ ნაბიჯს ვერ დგამს... ქიშპობა-ეგოიზმმა ფრთა გაშალა. ამას ზედ დაერთო სომხების საარჩევნო ბოიკოტი და ავტონომიის კითხვა და ჰაერი კვლავ გაიჟღენთა ღალატ რეაქციის სუნით. ყველა ამას თეირან-თავრიზის ინტელიგენციის ნაწილმა ვერ გაართვა თავი და ერთმანეთის ქიშპობა-პირადობაში ჩაიყურყუმალავა—ქვეყანა შიშმა შეიპყრო, რუსეთი ყაზარმებს აშენებს და მზათაა მშვიდობიანობა დაიცვას. შური და მტრობა ირანის არე-მარეს მოედო.

მაგრამ ხალხის საუკეთესო ნაწილს არ სძინავს, ის რევოლიუციის ქარ-ცეცხლში გამოვლილი, კვლავ ბრძოლის ველზე დგას და ამაყათ მიაფრიალებს წინ თავისუფლების დროშას. იმ დროშას, რომელიც სისხლით არის შეღებილი, რომელიც დახვრეტილ-დაფლეთილია და რომელზედაც აწერია პოეტის სიტყვები:

„ხსნა ბრძოლაშია, ბრძოლაში,
ამაო არის ცრემლები!
ფუი მას, ვისაც მონურათ
დაუკრეფია ხელები"!!.

და ეს დროშა უჭირავს ხალხის ნდობით და სიყვარულით აღჭურვილ გმირ სათარ-ხანს. სათარ-ხანი ვერ ჩაითრია წვრილმანობა-პირადობამ, ის თავისი რაზმით ადერბიჟანში გადიჭრა და მისი გამჭრიახი სამხედრო ცოდნა-გამოცდილებით რახიმ-ხანს თეირანისკენ წასავალი გზა შეუკრა.

სათარ-ხანი მიხვდა რას აპირობს რახიმ ხანი და რატომ იგვიანებს შახი, რატომ რეაქციონერები მიილტვიან შახისკენ! მიხვდა და მსწრაფლ მათ შუაზე გაჩნდა მცირე, მარა რჩეული რაზმით, რომელსაც რამდენიმე გამოცდილი კავკასიელი თან ახლავს.

ადერბილი მდებარეობს ოთხი დღის სავალზე თავრიზიდან აღმოსავლეთ-სამხრეთით რეშტისაკენ. ამ გზაზე შახს მოელიან და აქ სურთ ბნელ ძალებს დაინტერესებულ სახელმწიფოს ჯარ-აფიცრებით გამაგრდენ, შახის დიქტატურა წამოაყენონ და მოღალატე პირების შემწეობით თეირანზე გაილაშქრონ. რეაქციონერების რაზმში ბევრი გადაცმული ზოგიერთი დაინტერესებული სახელმწიფოს ჯარის კაციც იქნება და ეს გეგმა უკვე შედგენილია, მარა გვწამს ხალხის და მის ამ ბრძოლაში უანგარო თავგანწირული სათარ-ხანის გამჭრიახობა, იმედია ხალხი კვლავ გამოვა გამარჯვებული და განახლებული სპარსეთი დიდებულათ წარსდგება მთელი ქვეყნის წინაშე. მის დროშას ორი წარწერა აქვს: ან სიკვდილი, ან გამარჯვება! და როდესაც ხალხი ასე თავგანწირულათ იბრძვის, მთელი წლის განმავლობაში მშიერ-მწყურვალი სისხლიდან იცლება წინმსვლელობისთვის და როდესაც ზოგიერთი დაინტერესებული სახელმწიფო ასე ურცხვათ მის შინაურ საქმეში ერევა, მის გრძნობებს ლახავს, მაშინ საჭიროა პრესამ ძლიერათ ამოიღოს ხმა და სამარცხვინო მოქმედება ნათელ-ყოს.

14 ენკენისთვე ქ. ქუთაისი. **ვლასა მგელაძე.**

# ახალი ამბები

—

**თფილისის ტრამვაი.** 12 სექტემბერს ღამის 12 საათზე ტრამვაის სახელოსნოში მოხდა მოსამსახურეების (კონდუქტორ-ვატმანების) საერთო კრება. კრებას დაესწრენ ადმინისტრაციის წარმომადგენლები და ტრამვაის დირექტორი. კრებამ განიხილა დირექციის მიერ წამოყენებული ახალი პირობები და ხანგრძლივი კამათის შემდეგ რამდენიმე მუხლის გარდა ყველა მუხლები მიიღო და იმ მუხლების შესამუშავებლათ, რომლებზედაც ვერ შეთანხმდენ, კრებამ კომისია აირჩია. ეს კომისია დირექტორთან ერთათ იქონიებს მსჯელობას დანარჩენი მუხლების შეცვლის შესახებ.

— ზარშან ტრამვაის დირექციამ სახელოსნოს რამდენიმე მუშა სხვადასხვა დროს სამუშაოზე არ დაუშვა, რადგანაც ბრალი დასდო სხვადასხვა დანაშაულობაში. მუშებმა ეს განასაჩივრეს საქარხნო ინსპექტორთან. ინსპექტორმა განიხილა მუშების საჩივარი და დირექციას წინადადება მისცა, რათა აენაზღაურებია მუშებისათვის გაცდენილი დღეების ჯამაგირი. დირექცია არ დათანხმდა ინსპექტორის წინადადებას და ინსპექტორმა მესამე მომრიგებელ-მოსამართლესთან განასაჩივრა დირექციის უკანონო მოქმედება. მოსამართლემ 16 სექტემბერს განიხილა ეს საქმე და ტრამვაის დირექციის საქციელი უკანონოთ სცნო და მუშების სასარგებლოთ მიუსაჯა 257 მანეთი.

✦ **ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობის კრება.** 15 სექტემბერს მოხდა ხსენებული საზოგადოების გამგეობის კრება. კრებამ დაადგინა დაენიშნოს სტიპენდია, არტისტ ვალ. შალიკაშვილს, რომელიც უკვე გაემგზავრა მოსკოვის დრამატიულ კურსებზე. საქმის უკეთ მოსაწესრიგებლათ კრებამ საჭიროთ დაინახა სექციების შედგენა, რომელსაც ცალ-ცალკე მიენდობა სხვადასხვა ფუნქციები. არჩეულ იქნა სულ 3 სექცია. პირველს—ა. გოთუა, ნ. ერისთავი და ნანობაშვილი—გადაეცა თეატრის იჯარის საქმეები. ამ სექციაში სხვათა შორის, შედიან თავად-აზნაურობის წარმომადგენელი ბ.ბ. მაყაშვილი, ვეზირიშვილი და თუმანოვი. მეორე სექცია განაგებს დასის საქმეებს და მესამე—რეპერტუარის შედგენას. მეორე სექციაში არჩეული არიან: ა. ჯაბადარი და ბ. კილოსანიძე, ხოლო მესამეში ივ. გომართელი, მაყაშვილი და ნახუცრიშვილი. დასასრულ კრებამ განიხილა რეჟისორების არჩევის საკითხი. კრებამ საჭიროთ სცნო რეჟისორობა იყოს მორიგეობით. არჩეულ იქნენ კ. მესხი, ვ. აბაშიძე, შათირიშვილი და გ. გედევანოვი.

✦ **იარაღების აღმოჩენა.** როგორც „ბირჟ. ვედომ.“ ატყობინებენ, ქერჩში რკინის გზის დუქანში უპოვიათ 62 ვინტოვკა შტიკებით. დუქნის პატრონმა განაცხადა, რომ ეს იარაღი ეკუთვნის სამსახურიდან დათხოვნილ პოლიცმეისტერს იანოვსო.

✦ **საიუბილეო დღესასწაული.** ნოემბერში შესრულდება სრული 25 წელი, რაც სასცენო ასპარეზზე მუშაობს ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა. ამის გამო, დრამატიულ საზოგადოების გამგეობასთან შესდგა საიუბილეო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ა. სარაჯიშვილი.

✦ **რევიზიის შედეგი.** ამას წინათ მოხდა კავკასიის ციხეების რევიზია. შედეგათ ამ რევიზიას ის მოყვა, რომ ხარჯთაღრიცხვაში შეტანილ იქნა მილიონ ნახევარი მანეთი, რომლითაც უნდა შეაკეთონ ოთხი ციხე, ვინაიდან სიძველის გამო ტუსაღები გარბოდენო.

✦ **ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების** ბიბლიოთეკის გამგეთ დაინიშნა იოსებ იმედაშვილი.

✦ **ქალაქის სასკოლო კომისიამ** უკანასკნელ კრებაზე, სხვათა შორის, განიხილა კომისიის წევრის ი. ა. მელიქბეგლიაროვის განცხადება, რომელიც შეეხება ქალაქის პირველ-დაწყებით სკოლებში ადგილის უქონლობას. მისი აზრით, შესაძლებელია და საჭიროც არის, პირველ კლასებში მოსწავლეთა რიცხვი გადიდებულ იქნას 50-მდე. კრებამ მოიწონა ეს აზრი და დაადგინა შეეკითხოს სკოლის გამგეთ, შესაძლებელია თუ არა სისრულეში იქნას მოყვანილი ზემო აღნიშნული განცხადება.

✦ **თავად-აზნაურთა კრება.** 15 სექტ. მოხდა თფილისის თავად-აზნაურთა კრება, რომელსაც უნდა აერჩია ამრჩეველი სახელმწიფო საბჭოს წევრის ასარჩევათ. დასახელებულ იქნა კანდიტატები რომელთა შორის კენჭი იყარეს თფილ. გუბ. თავად-აზნაურთა წინამძღოლმა გ. ა. ბაგრატიონ დავიდოვმა და მ. ვ. მაჩაბელმა. ისინი კრებამ ხმის უმეტესობით აირჩია. მათ დაენიშნა 25 მან. დღე და ღამეში თითოეულს და ამასთანავე, უნდა მიეცეს გზის ხარჯი. შემდეგ კრებამ მოისმინა ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განცხადება ილია ჭავჭავაძის ძეგლისათვის 1000 მ. გადადების შესახებ, რომელიც აღუთქვა თავად-აზნაურობამ წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას. კრებამ ერთხმათ დაადგინა მიეცეს ეს ფული გამგეობას. დასასრულ, კრების გათავების შემდეგ ინჟ. ანდრიანოვმა მოხსენება გააკეთა კახეთის რკინის გზის შესახებ, მარა ამის შესახებ მსჯელობა არ ყოფილა. განზრახვა აქვთ ეს მოხსენება განიხილონ საგანგებო კრებაზე, რომელიც ამ მოკლე ხანში იქნება მოწვეული.

✦ **სასამართლო.** თფილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის პირველ განყოფილებაში 25 სექტემბერს გაირჩევა ანნა ხომერიკის საქმე. მას ბრალდება 5 მაისს მის ოთახში ჩხრეკის დროს უბნის ზედამხედველის შეურაცყოფა. ბრალდებულს დაიცავს ნაფ. ვექილის თანაშემწე ივ. კაჩუხოვი.

✦ **სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოებამ** შუამდგომლობა მიიღო დედოფლის წყაროდან (სიღნაღის მაზ.), რომ გაიხსნას იქ საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილება.

✦ **პუშკინის ბაღი.** ქალაქის თავმა თხოვნით მიმართა თფ. გენ.-გუბერნატორს, რომ გაიხსნას პუშკინის ბაღი, რომელიც დღემდე დაკეტილია.

✦ **ქართული წარმოდგენა.** დღეს სახალხო სახლთან არსებული ქართული წარმოდგენების მმართველი სექცია წარმოადგენს შექსპირის ცნობილ 4 მოქმ. კომ. „ჭირვეული ცოლის მორჯულება“-ს. მონაწილეობას, სხვათა შორის, იღებენ არტ. კ. მესხი და გ. გედევანოვი. წარმოდგენა დაიწყება 8 საათზე.

✦ **სასჯელის პატიება.** ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და აპატივა სასჯელი ალექსი ჩიქოვანს, რომელსაც სასამართლოს მიერ ციმბირში გადასახლება ქონდა მისჯილი.

# გაპონი პეტერბურგში.

—

ინჟენერმა რუტენბერგმა, რომელმაც გაპონი მოკლა ოზერკაში, „მატენში“ დასტამბა თავისი მოგონება 9 იანვარს მომხდარ სისხლის ღვრაზე და იმ როლის შესახებ, რომელსაც ამ საქმეში გაპონი თამაშობდა. მოგვყავს რუტენბერგის მოგონებიდან ზოგიერთი საინტერესო ადგილები.

„პეტერბურგის გაფიცვის დაწყებისათანავე,—სწერს რუტენბერგი,——აშკარა იყო, რომ პუტილოვის ქარხნის ოთხი მუშის უკანვე მიღებით საქმე არ გათავდებოდა. მე გულმოდგინეთ დავიწყე მოძრაობის და აგრეთვე მისი ორგანიზატორის, გაპონის თვალ-ყურის დევნება.

ცოტა ადრე, სანამ ეს ამბავი მოხდებოდა, მე პუტილოვის ქარხნიდან წავედი, სადაც სახელოსნოს გამგეთ ვიყავი, მაგრამ მუშებთან კარგი განწყობილება მაინც არ შემიწყვეტია. მუშებმა მიმიწვიეს, რომ მათ კრებებზე დავსწრებოდი. 5 იანვარს მე გავეცანი გაპონს. ამავე დღეს, საღამოს, მთავრობის წარმომადგენლებთან დაუსრულებელი და უნაყოფო მოლაპარაკების შემდეგ, მუშათა კავშირის ნარვის განყოფილებაში გაპონმა წარმოსთქვა თავისი შესანიშნავი სიტყვა:

— ამხანაგებო! ჩვენ ვიყავით სმირნოვთან (პუტილოვის ქარხნის დირექტორთან), მაგრამ ვერაფერს ვერ გავხდით. ვიყავით გამგეობაშიაც, გუბერნატორთანაც, მინისტრებთანაც, მაგრამ აქედანაც არაფერი გამოვიდა. მაშ, გავსწიოთ, ამხანაგებო, საზამთრო სასახლისაკენ!

— კი, კი, წავიდეთ!—მოისმა მრავალთასოვანი ბრბოს ხმა. მუშები მათი მფარველის უბრალო ლოღიკამ გაიტაცა.

თუ საჭირო იქნება, ჩვენი სიცოცხლეც არ დავიშუროთ, მხოლოდ რაც გვსურს, ის კი მოვიპოვოთ!—სთქვა გაპონმა.

— ჩვენ თავს არ დავზოგავთ, მხოლოდ ის კი მოვიპოვოთ!..

ამ დროს მთელი ქალაქი გაპონზე ლაპარაკობდა; ის თვითეულს თავისებურათ ყავდა წარმოდგენილი. ინტელიგენტურ წრეებში მას უნდობლათ უყურებდენ, სკეპტიკურათ გაიქნევდენ ხოლმე თავს მის ხსენებაზე, მაგრამ აჩქარებული ტემპით მვლელი ამბები ყოველდღე ნიადაგს აცლიდა ამ უნდობლობას. გაპონის სახელი მოძრაობაში ჩაიქსოვა, მისი ფიგურა თანდათან იზრდებოდა საშინელი უბედურობის მოახლოვებასთან ერთათ. მუშათა კრებებზე დაიწყეს „მეფის თხოვნის“ კითხვა და მაზე ხელის მოწერა. მის მოსასმენათ იმდენი მუშები მოვიდენ, რომ იძულებული შეიქნენ მორიგეობა დაეწესებიათ და ჯგუფ-ჯგუფათ უშვებდენ მათ დარბაზში. გაპონს გაშლილ ჰაერზედაც მოუხდა ლაპარაკი. ეს იყო ნევის პროსპექტის დასაწყისში, სადაც ის ბოჭკაზე შედგა და ქუჩის ფარნის სინათლეზე წაიკითხა თხოვნა.

ანაფორის კალთის ყოველ გარხევაზე სიბნელეში, აკანკალებულ ხმის ყოველ ამაღლებაზე, ყოველ მოთხოვნილების მოგონებაზე—უცნაური ძალით შებოჭილ ხალხს ეგონა—ეს არის ხსნა გვიახლოვდებაო.

ხალხის აღტაცებით გატაცებული გაპონი მათ მათსავე ენაზე ელაპარაკებოდა.

8 იანვარს ჯარის-კაცებს საომარი პატრონები დაურიგდა, ჯარებმა ყველა მნიშვნელოვანი პოზიციები დაიჭირეს.

მხოლოდ 9 იანვარს, დილით ვეღირსე გაპონის ნახვას. ის მუშების ჯგუფში იდგა მთლათ გაფითრებული და გაფანტული.

— სამოქმედო გეგმა გაქვს, მამაო?—ვკითხე გაპონს. მას გეგმა არ აღმოაჩნდა.

— ხომ იცით, რომ ჯარები სროლას დაგვიწყებენ?

— არა, მე ეს არ მჯერა,—მომიგო გაპონმა ჩავარდნილი ხმით.

მაშინ მე ჯიბიდან პეტერბურგის გეგმა ამოვიღე, რომელზედაც წინდაწინვე მქონდა საჭირო ნიშნები დასმული. მე ვუჩვენე, ჩემი შეხედულობით, საუკეთესო გზა საზამთრო სასახლისაკენ. თუ ჯარები სროლას დაიწყებდენ, ჩემი აზრით, ქუჩები ბარიკადებით უნდა გაგვემაგრებია, მახლობელი მაღაზიებიდან იარაღი უნდა გამოგვეტანა და რაც უნდა მოგვსვლოდა, სასახლემდის უნდა მისულიყავით. ჩემი გეგმა მიღებულ იქნა. ჩვენ მახლობელი სამლოცველოსაკენ გავემართეთ, იქიდან ხატები და ჯვრები წამოვიღეთ. გაპონი ცოტათი დამშვიდდა.

დანიშნულ ადგილზე უკვე დიდძალი ხალხი შეიკრიბა. მუშათა ერთმა ჯგუფმა კითხვით მოგვმართა, საჭიროა თუ არა მეფის სურათებიც თან გავიყოლიოთო. მე საჭიროთ არ დავინახე.

მიუხედავათ ამისა, მეფის და დედოფლის სურათები მუშებმა მაინც წამოიღეს.

სანამ გზას გავუდგებოდით, საჭირო იყო მანიფესტანტები წინდაწინვე გაგვეფრთხილებია, რომ მოულოდნელი თავდასხმის გამო არ დაფანტულიყვენ.

გაპონი ძალზე დაღლილი აღმოჩნდა; მას ყელი ამოშრობოდა და ლაპარაკის თავი აღარ ქონდა. მისი სახელით მე გადავეცი მუშებს, რომ მოსალოდნელია ჯარებმა სროლა დაგვიწყონ და სასახლესთან არ მიგვიშვან. მათ უკან დახევაზე უარი განაცხადეს და გადასწყვიტეს, რაც უნდა მოგვივიდეს, სასახლემდი უნდა მივიდეთო. მე ვურჩიე, რომელი გზით უნდა წასულიყვენ და სროლის დროს როგორ უნდა მოქცეულიყვენ. მე მათ მახლობელი იარაღის მაღაზიების ადრესიც ვაცნობე.

როდესაც უკანასკნელი „უფალო იყოს თქვენი შემწე“ მოისმა, მუშებმა ერთბაშათ დაიწყეს პირჯვრისწერა. ბრბო ხმაურობით გაემართა წინ, ვიწრო ჯგუფებათ გაიარა ხიდი და ფართო მდინარესავით გაიშალა ქუჩაზე.

ბრბო გულდასმით მიგდებდა ყურს, როცა მე თავდასხმის შესაძლებლობაზე და იარაღის შეძენის საჭიროებაზე ვლაპარაკობდი, მაგრამ მე ვგრძნობდი, რომ ჩემი სიტყვები მუშებს ღრმათ არ გასჯდომოდათ შეგნებაში.

„განა შეიძლება ღვთის წინააღმდეგ იარაღით წასვლა?“

„ვის გაუგონია მეფესთან ცუდი განზრახვით წასვლა?“

„აცხონე უფალო ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი“.

აი ეს აღმოხდა მრავალრიცხოვანი მუშების პირიდან და სუსხიან ჰაერში შთაინთქა.

„დიდება მეფესა ჩვენსა ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძესა“.

ეს სიტყვები ისეთი საარაკო აღფრთოვანებით იყო სავსე რომ გვეგონებოდათ, ეს არის ყოველივე ბოროტება ისპობა და საუკეთესო მომავლისაკენ გზა იხსნებაო.

როდესაც ნარვის ჭიშკრებთან ჯარის კაცების რაზმი გამოჩნდა, სიმღერის ხმამ თანდათან იმატა და მოძრაობამაც უფრო გაბედული ხასიათი მიიღო. მებაირაღეები ერთ წამს შეტორტმანდენ და სწორი გზიდან გადახვევა დააპირეს, მაგრამ ხალხის სულიერმა განწყობილებამ და წინდაწინვე მიცემულმა გაფრთხილებამ მათ განზრახვაზე ხელი აალებინა. ბრბომ ისევ განაგრძო მოძრაობა. უეცრათ ნარვის საყარაულოზე კავალერიის რაზმი გამოჩნდა. ისინი ხმალ ამოშიშვლებულნი შეიჭრენ გვერდიდან მანიფესტანტებში და შუაზე გაყვეს. ხალხში უკმაყოფილების ხმა მოისმა.

— წინ ამხანაგებო! თავისუფლება ან სიკვდილი! დაიძახა გაპონმა. ბრბო ისევ შეჯგუფდა და წინ გაემართა. კავალერია უკან გამოტრიალდა, ხელ-ახლა გაიპო ბრბო შუაზე და ნარვის საყარაულოსაკენ ჩქარი ნაბიჯით გაეშურა. ხატებით და ჯვრებით მიმავალი ხალხი ქვეითი ჯარის კაცებს შეეფეთა პირისპირ. ჯარისკაცებს ჩახმახები შეყენებული ქონდათ და სასროლათ იყვენ გამზადილნი. მოულოდნელათ მოისმა ხმელი ტკაცანი, რომელმაც რაზმის ერთი ფრთიდან მეორე ფრთამდე გაირბინა. ბრბოდან მოისმა დაჭრილთა კვნესა და წყევლა-კრულვა. წინა რიგი დაეცა, უკანა რიგები გაიქცენ.

ჯარისკაცებმა სამჯერ ისროლეს მწყობრათ; თვითეული სროლის დროს რომელთაც გაქცევა არ შეეძლოთ, მიწაზე ემხობოდენ, რომ ტყვიებიდან თავი დაეფარათ, შემდეგ ისევ წამოდგებოდენ და გაქცევით თავის შველას ლამობდენ, მაგრამ ტყვიები ხვდებოდათ და იქვე იკეცებოდენ. მესამე მწყობრი სროლის (ზალპის) შემდეგ აღარავინ აღარ ადგა და ჯარისკაცებმაც სროლა შეწყვიტეს.

—

უკანასკნელი სროლის შემდეგ რამოდენიმე წუთმა გაიარა და თავი წამოვყვეი. ჩემს წინ ნარვის საყარაულოს ორივე მხარეზე ჯარის კაცების ნაცრის ფერი რაზმები იდგა. კარპოვის ხიდთან თოვლში ეყარა: ხატები, ჯვრები, ბაირაღები და უსულო სხეულები, იმ მუშებისა, რომელთაც რამოდენიმე წუთის წინ ისინი ხელში ეჭირათ. ჩემს მარჯვნივ და მარცხნივ დაჭრილი სხეულები ეყარა, მათ გარშემო თოვლი წითლათ იყო შეღებილი. ჩემ მახლობლათ აღმოჩნდა გაპონიც. მე მას ხელი წავავლე, მღვდლის ფართე ქურქიდან მარტო თავი მოჩანდა გაშტერებული თვალებით.

— თქვენ დაჭრილი ხართ, მამაო?

— არა...

— მაშ, წავიდეთ!..

ჩვენ ფორთხვით მახლობელ ჭიშკრამდის მივაღწიეთ. ეზო, რომელშიაც ჩვენ შევედით, ხალხით გაჭედილი აღმოჩნდა. ყოველი კუთხიდან კვნესა მოისმოდა. გადარჩენილნი შეშლილებივით დაძრწოდენ ეზოში, ვითომ უნდოდათ გაეგოთ მომხდარი საშინელების მიზეზი.

გაპონმა მუშის პალტო ჩაიცვა და მისივე ქუდი დაიხურა. მცირე რიცხოვანი ჯგუფებით ჩვენ დიდი ტანჯვით მივაღწიეთ შენობებს, რომლებშიაც მუშები ცხოვრობდენ. გზაზე გვხდებოდენ შეშინებული ქალები და კაცები, რომელნიც სასოწარკვეთილებით გმინავდენ. ბარიკადების აგებაზე ფიქრი შეუძლებელი იყო, საჭირო იყო გაპონის შველა. მე მას ვსთხოვე, ჩემთვის გადმოეცა ყოველივე, რაც კი მისთვის სახიფათო იქნებოდა. მან გადმომცა მუშებისაგან მიღებული რწმუნების წერილი და თხოვნა, რომელიც მას საზამთრო სასახლეში უნდა მიეტანა. მე გაპონს წინადადება მივეცი თმა გაეკრიჭა და ჩემთან ერთათ წამოსულიყო ქალაქში. ის დამთანხმდა. რამოდენიმე წუთის წინ საზარელი სურათის მოწმე მუშები ჩვენ გარს შემოგვეხვიენ, ვითომ სამღვთო წესის შესრულებას ესწრებოდენ და ყველა ცდილობდა გაპონის თმის ცოტა ნაწილი მაინც მიეღო, ვითომ წმინდანის ნაშთის მსგავსათ“. („გ. მ.“)

# პროვინცია

—

**თელავი.** დღევანდლამდის ჟურნალ-გაზეთები თავის რიგზე მოდიოდა. ეხლა კი სურათი შეიცვალა: ჟურნალ-გაზეთები თელავში აღარ მოდის და ხალხი ძალიან შეწუხებულია. ამ გარემოებას ისიც მოწმობს, რომ დილიჟნის კონდუქტორები თფილისიდან მოტანილ გაზეთებს აქ 10—15 კაპ. ყიდიან. პირველათ აგენტურა ბ-ნ ონიკაშვილის ხელში იყო. კარგათ იყო თუ ავათ. დასახელებული პირი შეძლების და გვარათ თავის მოვალეობას ასრულებდა. თუ დღეს თელავი და მისი მაზრა უგაზეთოთ არის, ონიკაშვილის სიტყვით, ეს თვით ბ-ნ გაჩეჩილაძის ბრალია. რამდენათ მართალია ამ შემოხვევაში ბ-ნი ონიკაშვილი ამის თქმა ძნელია. ონიკაშვილი ბრალს სდებს ბ-ნ გაჩეჩილაძეს, რომელიც დაუდევრათ ექცეოდა არამც თუ მას, არამედ ყველა იმათ, ვინც ონიკაშვილის შემდეგ აიღეს თელავში აგენტურა. ბ. ონიკაშვილმა, როგორც აგენტმა, გაჰყიდა „ახალი ხანის“ კვიტანციები. ხელის მომწერლებს დღესაც კი არ მიუღიათ წიგნი. ონიკაშვილი დამნაშავეთ სთვლის გაჩეჩილაძეს.

აქლემები წაიკიდენ კოზაკი გასრისესო—იტყვიან, სწორეთ ასეა ჩვენი საქმე. ონიკაშვილი ბრალს სდებს გაჩეჩილაძეს, გაჩეჩილაძე ალბათ, ონიკაშვილს, ხოლო თელავეღები კი უგაზეთოთ რჩებიან. საჭიროა თელავის და მისი მაზრისათვის ჟურნალ გაზეთები, ამისათვის კი საჭიროა გვქონდეს მოწყობილი აგენტურა.

**ნატრო.**

—

**სიღნაღი.** 3 ენკენისთვეს მოხდა სიღნაღის ხმოსანთა მორიგი კრება. სხვა კითხვებთან ერთათ ამ დღეს უნდა გადაეწყვიტათ რამდენი უნდა დაენიშნათ ჯამაგირი ქალაქის თავის და მისი ამხანაგისთვის. წინანდელ თავს ქონდა 800 მანეთი, მის ამხანაგს 500 მან. კრებამ დაადგინა, რადგან ცხოვრება გაძვირდა მოემატოს ჯამაგირი ქალაქის თავს 800 მან. მაგიერ 1000 მ. და მის ამხანაგს 700 მანეთი. შემდეგ ამისა კომისიამ მოხსენება გააკეთა 1908 წლის ხარჯ-აღრიცხვის. ამ წელში ქალაქს უნდა შემოსვლოდა 29,978 მ. და 22 კ. შემოსულა 17,171 და 85 კ. დანარჩენი „ნედოიმკათ“ დარჩენილა ამას გარდა კომისიამ აღმოაჩინა, რომ უთვილ გამგეობას უსამართლოთ დაუხარჯავს 1818 მან. და 20 კ. კომისიამ გადასწყვიტა საბუთის ქაღალდები, თავის დასკვნით თფილისის გუბერნატორს წარუდგინოს. შემდეგ განიხილეს რამდენიმე წვრილმანი კითხვა და კრება დაიხურა. **ზოგანი**

—

**სოფ. ცაგვერი** (ბორჯ. საზოგად.) თუ ნახევარი იქნება, აქ ვიდაც თათარი მოჭკლეს. თუმცა აქაურებმა სრულიათ არ იციან რა ნიადაგზე მოხდა მკვლელობა და შესაფერი ზომებიც მიიღეს მკვლელების დასა-

ჭერათ, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ეგზეკუციას მაინც ვერ ასცდა და ჩაუყენეს 25 კაზაკი. მათი შენახვა სოფელს დღეში ორი სამი თუმანი უჯდება, გარდა თივისა და სხვა ასეთებისა. სოფელი სულ ოცდა შვიდ კომლისაგან შესდგება. თითო კომლს უწევს დღეში ორი მანეთი ხარჯი. აქაურები ბევრი ეცადენ თფილისის გუბერნატორთან დაემტკიცებინათ, რომ ისინი მკვლელობაში არ არიან დამნაშავენი, რომ ამით ეგზეკუცია თავიდან აეშორებიათ, მაგრამ მათი თხოვნა დღემდე შეუწყნარებელი დარჩა. 30 აგვისტოს ბაკურიანის რკინის გზით აქეთ გამოიარა თფილისის გუბერნატორმა, რომელსაც თან ახლდა გორის მაზრის უფროსი; გლეხები სადგურზე პურ-მარილით შეხვდენ გუბერნატორს და სთხოვეს ეგზეკუციის მოხსნა. მან კიდევ გაუმეორა გლეხებს, რომ სანამ უახლოებს არ დაიჭერთ და არ გადასცემთ მთავრობას, მანამ ეგზეკუცია არ მოიხსნებაო. როდესაც მოხუცი გლეხი, რომელსაც ხონჩით პურ მარილი ეჭირა, მუხლებზე დაეცა და ხვეწნა დაუწყო: გაგვტყავდით, აღარა გვაქვს რაო, მაშინ გუბერნატორმა აღუთქვა, რომ სხვა სოფლებსაც მოგაშველებთ ეგზეკუციის ხარჯშიო. დაღონებული გლეხები დაბრუნდენ სახლში, იმათ სრული იმედი ჰქონდათ, რომ თხოვნას შეიწყნარებდენ.

გ—ი.

## თეატრი და ხელოვნება *)

ჩვენი სცენა რომ ძლიერ დაქვეითებულია, ეს არავისთვის ახალი ამბავი არ არის. ჯერ ჩვენ სცენას და მის მუშაკთ არასოდეს არ მიუღწევიათ ცხოვრებამდის: ცხოვრება წინ მიაბიჯებს, სცენა კი ერთ ადგილას დგას და, უკეთეს შემთხვევაში, ნელ-ნელა მიჩანჩალებს. ჩვენი ზოგი „არტისტები“,—ფრჩხილებში, რასაკვირველია, არ ეკუთვნის რამოდენიმე არტისტებს, როგორც, მაგ. ალ. მესხიშვილს, ვასო აბაშიძეს, ნინა ჩხეიძეს და სხვებს, სცენას უყურებენ როგორც ხელობას და არა ხელოვნებას. ცოდნა, უნარი, ნიჭი, წინმსვლელობის სურვილი,—ყოველივე ეს, მათთვის მეტი ბარგია. ჩვენი სცენა უნუგეშო მდგომარეობაშია, ის რაღაც წყვდიადს მოუცავს, და აი, ეს წყვდიადი გაარღვია სამმა დებიუტანტმა, მასში შემოიჭრა სამი ელვა. ეს იყო სათავად-აზნაურო თეატრში 12 სექტემბერს. თამაშობდენ „ღალატს“. თავი და თავ როლებს თამაშობდენ პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლის მოსწავლენი: ქ-ნი ან. ჩირგაძე, შალვა შარაშიძე და პეტრე ქავთარაძე,—ზეინაბი, სულეიმანი და ოთარ-ბეგი.

შურის-ძიება, სამშობლოს სიყვარული, დედის გრძნობა ორ-ათეულ წელიწადის განმავლობაში, იძულებული. პირმოთნეობა და თვალთმაქცობა უკეთეს გამოსახა. ტველს, განმახორციელებელს ვერ გამონახავს, როგორც ყოველივე ეს დაგვისურათხატა ქ—ნმა ჩირგაძემ.

ოცი წლის წინეთ საქართველოს დედოფალი, დღეს უძლეველი სულეიმანის „პირველი“ ცოლი საუცხოვოთ ასრულებს დესპოტის სურვილებს. მან იცის, რა სწადია სულეიმანს, რა იამება მას და მისს სურვილებს. ის წინ უსწრებს და საქართველოს აოხრებაში და მიწასთან გასწორებაში მას თავისი დესპოტიური ღვაწლი შეაქვს, რომ ამით მან სულეიმანის გული მოიგოს, მისი სრული ნდობა დაიმსახუროს და ეს ნდობა ბოლოს საქართველოსვე გასანთავისუფლებლათ გამოიყენოს და ტახტზე თავისი შვილი ერეკლე აიყვანოს.

ის მრისხანეა ვით რისხვა, როდესაც ბრძანებას იძლევა; ის გაიძვერაა ვით, გველი, როდესაც სულეიმანს ატყუილებს; ის ჩვილია, ვით მტრედი, როდესაც შვილს ეალერსება. ზეინაბის როლი მეტათ ძნელი და რთულია და დებიუტანტკამ ეს სამაგალითოთ ჩაატარა. ავღნიშნავ აქვე, რომ ქ-ნი ჩირგაძე უკანასკნელ მოქმედებაში ცოტა სუსტი იყო, რადგანაც ის ფიზიკურათ დაიღალა. ზეინაბს გვერდს უმშვენებს სულეიმანი—ბ. შარაშიძე. მან სულეიმანი თავისებურათ ჩაატარა, ის არავის არ ბაძავს, ის ჰქმნის დესპოტ სულეიმანს. გრიმიც სულ სხვანაირი გაიკეთა, ვიდრე სხვა არტისტები იკეთებენ.

ოცი წელიწადი ბატონობს სულეიმანი დაპყრობილ საქართველოში, ოცი წელიწადი ის ამხობს საქართველოს; ის ცურავს სისხლის მორევში.

ყოველ ახალ დილას ახალი მსხვერპლი მოყობა. ის მძლავრია, ვით ლომი. მისი სურვილი ყველასათვის კანონია. ის—ალმოსავლეთის დესპოტია, მაგრამ სულეიმანიც ადამიანია და ისიც მოიღალა, დაიქანცა. ამასთან ერთად, მის გულში ექვის ჭია შემძვრალა და ხრავს გულის სიღრმეს. მას სულ მუდამ ღალატი ელანდება, ყოველ მხრივ ის ღალატის სუნს ყნოსავს. ეს გარემოება მას მეტათ აღონებს და აფიქრებს. და ბ. შარაშიძეც დაღონებულია, დაფიქრებული, ერთი აზრით შეპყრობილი მრისხანეთ უცქერის ყველას, ყველას გულში ჩაძრომას ლამობს, თვალებში შეჩერებია. მისი მიხვრა-მოხვრა დინჯი და ნელია, ბრძანება—მოჭრილია; ლაპარაკი მკუხარე და ლაკონიკურია. „მისი სიტყვა—მისი ხმალია“. ის გრძნობს, ინსტინქებით ხედავს, რომ ახლოვდება მისი განკითხვის დღე და ჩქარობს, ძლიერ ჩქარობს, რაც შეიძლება მეტი მსხვერპლი შეიწიროს, მეტი სისხლი დაღვაროს, მეტი ტანჯვა-წვალება მიაყენოს საქართველოს.

რადგანაც ის დაღონებული და ჩაფიქრებულია, მისი აზრიც და ფიქრიც უფრო მიმიკით გამოიხატება, ვიდრე სიტყვებით და ახალგაზრდა არტისტიც სულეიმანის სულისკვეთებას შეუდარებელ მიმიკით ხატავს.

საქართველოს ლომი, მეფის მარჯვენა ხელი და ერთგული მოსამსახურე ოთარ-ბეგი დღეს სულეიმანის აღმასრულებელი ორგანოა. მისთვის აღარ არსებობს საქართველო, ეს დღეს შახინ-შახის დაპყრობილი მხარეა. მართლ-მორწმუნე ქრისტიანი დღეს ისლამის სჯულს ემსახურება და ეთაყვანება. სულეიმანი ბრძანებს, ოთარ-ბეგი ამ ბრძანებას ზედმიწევნით, შეუდარებლათ ასრულებს, დღეს ის განხორციელებული რისხვაა საქართველოსთვის. გრძნობა სიბრალულისა მის გულში ადგილს ვეღარ ჰპოულობს და ის მუსრავს და მუსრავს ყოველივე ქართულს. დღეს ის დიდ პატივშია, დღეს ის სულეიმანის მარჯვენა ხელია, მაგრამ ოთარ-ბეგიც ადამიანია; ოთარ-ბეგი მამაა; მას ყავს საყვარელი გაიანე. აი ეს მამის გრძნობა მშვენივრათ დაგვიხატა პ. ქავთარაძემ მესამე მოქმედებაში.

ყველგან და ყველასთან მრისხანე და შეუბრალებელი, ოთარ-ბეგი ნაზი და მოყვარული მამაა. მის ურჩობას ვინ გაბედავს, თუ კი სიცოცხლე არ მოძულებია! გაიანე ურჩობს, ოთარ-ბეგი ამ ურჩობაზე ღიმილით უპასუხებს. მამის და შვილის სცენა, ჩემის აზრით, ბ. ქავთარაძის თამაშის შედევრია. მძლავრი ოთარ-ბეგი უძლურია ქალიშვილთან. სამი ახალ-გაზდა არტისტების თამაში სხვათა შორის, იმით განირჩევა, ჩვენი „ძველი“ არტისტების თამაშისაგან, რომ პირველნი მეტათ ბუნებრივათ თამაშობენ და მომქმედი პირების ფიზიონომია შეგნებული აქვთ. ამათ იციან რას თამაშობენ და როგორ უნდა ითამაშონ; მათ როლები შესისხლ-ხორცებული აქვთ.

თამამათ შემიძლია ვთქვა, რომ 12 სექტემბრის წარმოდგენა ჩვენი სცენის ისტორიაში ახალ გადაშლილ ფურცლათ ჩაითვლება. ეს წარმოდგენა იმით არის კიდევ საგულისხმო, რამ ის დიდ გავლენას იქონიებს ჩვენ პროფესიონალურ არტისტებზე. ნახონ და გაიგონ დალოცვილებმა თუ როგორ უნდა სცენის სამსახური და ეს გავლენა მე უკვე შევნიშნე 12 სექტემბერსავე: ეტყობოდათ ძველ არტისტებს, რომ ისინი ძლიერ მონდომებულნი იყვნენ კარგათ ეთამაშათ. ანანია-გამყრელიძე და გაიანე—ტასო აბაშიძე ძლიერ კარგ შთაბეჭდილებას ახდენდენ მაყურებლებზე; ისინი გვერდს უმშვენებდენ დებიუტანტებს. უნაკლულო არაფერია, და დებიუტანტებსაც პატარ-პატარა ნაკლი აქვთ. ქ-ნ ჩირგაძეს ხმა ცოტა მოუხეშავი აქვს. ეს ნაკლი სულ ადვილი გასასწორებელია.

ქავთარაძე მონოლოგებს ალაგ-ალაგას ძლიერ ჩქარა ლაპარაკობს.

შარაშიძე დიდ პაუზებს აკეთებს. ვუსურვებ ახალგაზდა არტისტებს წინ-მსვლელობას.

მოვულოცავთ ჩვენ სცენას მისს განახლების დღეს.

იკა.

*) ეს წერილი უადგილობის გამო გუშინდელ ნომერში ვერ დაიბეჭდა. რედ.

## ე. ნინოშვილის ფონდი

გიგზავნით 4 მ. და 15 კ. ვიატკის გუბერნიიდან, გადმოსახლებულთა შორის შეგროვილს და გთხოვთ ჩვენი წვლილიც შეურთოთ მშრომელი ხალხის სიამაყის, ეგნატე ნინოშვილის სახელობ თანხას. ვწუხვართ, რომ მოწყვეტილნი სამშობლოს და ჩვენს საქმეს და მეტად უკიდურეს პირობებში, საშუალება არა გვაქვს იმდენი გამოვიღოთ ამ დიდი საქმისათვის, რამდენიც ჩვენ გვსურს. კოზმან გაჩეჩილაძე 35 კ.; Алексѣй Гончаренко 20 კ.; ალექსი რევიშვილი 25 კ.; შელიტონ ბერიძე 25 კ.; Зармаиръ Шаинянцъ 25 კ.; ისმაილ უიფიანი 30 კ.; გიორგი დოლიძე 30 კ.; კონსტანტინე დეისაძე 30 კ.; ილიკო კბილცეცხლიშვილი 30 კ.: ზოლიკაშვილი ყვანია 40 კ.; ნიკო თოდუა 40 კ.; დიმიტრი ანანიაშვილი 50 კ.; სპ. ჭელიძე 50 კ. სულ 4 მ. 30 კ. გამოგზავნის ხარჯი 15 კ. იგზავნება 4 მ. 15 კ.

მონდობილობით სპ. ჭელიძე.

—

„ჯეჯილის“ რედაქციამ მიიღო ანნა ილიას ასული სოლოღაშვილისაგან შეგროვილი ქ. გორში 19 მ. შემომწირველთა სია: თითო მანეთი: ნატალია კიკნაძე, მარიამ ზანგურიძე, ილ. კაპანაძე, ქეტევან ქერეჭაშვილი, ნიკ. ხარატოვი, კონს. კაკაევი, დ. რ. მაჭავარიანი, სვიმონ გოგლიჩიძე, კ. მ. ელიოზიშვილი და ნ. დოშური; სამი აბაზი: სერგ. ორჯონიკიძე; ათ-ათი შაური: მ. რაზიკაშვილი, დეკ. ხიმშიაშვილი, ბაბული დოლიძე, მარიამ ეგნატაშვილი, ნატ. კლიმიაშვილი, გ. სადარიძე, სვიმონ მაისურაძე, გ. მუხაძე, მიხ. დოლიძე, ალ. ცერცვაძე, ივ. ჩაჩანიძე, არ. კალანდაძე, სერგ. შველიძე; ფოსტ. გარეჯანიძე. 40 კ. ნიკ. გარსევანიძე; თითო აბაზი: ანნა საყვარელიძე, მიხ. სრესელი, ვ. ვარძელაშვილი და კოტე მამულაშვილი.

—

კიდევ მიიღო „ჯეჯილის“ რედაქციამ ანტონ გვასალიასაგან შეგროვილი ქ. ბათუმში კაპიტანის ქარხანაში. შემომწირველთა სია:

ლიტენის ცხისაგან 2 მ.; შერმარდინოვისაგან 50 კ.; დ. სანაძესაგან 2 მ.; ს. კაპანაძისაგან 10 კ. ფოსტის ხარჯის გამოკლებით 2 მ. 65 კ.

„მომავლის“ რედაქციიდან შემოვიდა 21 მ. 15 კ. შემომწირველთა სია დაბეჭდილი იყო 1 სექტემბერს № 5-ში.

—

„ჯეჯილის“ რედაქციამ მიიღო დ. სამტრედიიდან 103 მ. 20 კ. რაჟდენ ნანეიშვილისაგან. ამ ფულიდან 41 მ. 22 კ. გამართული წარმოდგენიდან არის და 61 მ. 98 კ. შეგროვილია და აქ მოგვყავს შემომწირველთა სია:

მიხეილ მიქაძე 50 კ.; ყარამან კოპალეიშვილი 1 მ.; ივანე კრავეიშვილი 20 კ.; ვარლამ ზაქრაძე 20 კ.; გიორგი გვარამაძე 1 მ.; ლადო გომელაური 50 კ.; ალექსანდრე ბარამიძე 50 კ.; ალექსანდრე სადკოვი 50 კ.; პანტელეიმონ ნიკურაძე 25 კ.; სიმონ ქართველიშვილი 50 კ.; ალექსანდრე ჩხენკელი 20 კ.; აპოლონ პაპავა 1 მ.; ნესტორ კიკაჩეიშვილი 1 მ. 50 კ.; ილიკო შენგელია 20 კ.; პოლიკარპე დანელია 50 კ.; ვარლამ ასათიანი 80 კ.; ბიკტორ კორძაია 1 მ.; ერისტო ბუკუჩავა 20 კ.; მიხეილ გაჩეჩილაძე 1 მ.; ქრისტეფორე ჩომახიძე 10 კ.; ესტატე ჩხენკელი 50 კ.; ვარდენ გიგინეიშვილი 50 კ.; დიმიტრი ნ. კოლაიშვილი 50 კ.; გრიგოლ რევიშვილი 50 კ.; ალექსანდრე კორძაია 50 კ.; ლავრენტი ჭანჭალეიშვილი 30 კ.; თედორე კალაძე 15 კ.; პოლიკარპე არველაძე 10 კ.; მიხეილ სტურუა 5 კ.; ნესტორ ჩხიროძე 5 კ.; იოსებ ლეჟავა 20 კ.; იოსებ კანდელაკი 10 კ.; ო. წულაია 23 კ.; ბესარიონ ტოროնჯაძე 30 კ.; ისიდორე ბახტაძე 30 კ.; დიმიტრი რატიანი 20 კ.; არსენ ფურცხვანიძე 15 კ.; სერგეი ლუტიძე 1 მ.; კარპეზ კორძაია 50 კ.; შალვა კორძაია 50 კაპეიკი; ანეტა მიქელაძე 1 მანეთი; გუგუშლია მელქ. მიქელაძე 50 კაპეიკი; ალექსანდრე ნიკ. ნანეიშვილი 1 მან.; ვიკტორ ხურცილავა 50 კ.; ლუკა ფორჩნიძე 50 კ.; ლუკა მზარეულუა 50 კ.; ნოე კორძაია 50 კ.; კოლია კახიანი 50 კ.; გიორგი სიხარულიძე 1 მ.; პორფირე ჭეიშვილი 1 მ.; ივანე ბერაძე 1 მ.; რაფიელ ნანეიშვილი 20 ლავრენტი გუგულავა 10 კ.; არსენ ხუხუნაშვილი 15 კ.; ივლიანე დუნდუა 20 კ.; გიორგი ივანესძე დუნდუ 30 კ.; იასონ ქანთარია 10 კ.; ტიმოთე ხებეიშვილი 15 კ.; კოწია დუნდუა 10 კ.; იორდანე პირტახია 20 კ.; გერმანე გუგიშვილი 10 კ.; სიმონ შანშავა 20 კ.; ალექსანდრე შენგელია 15 კ.; ისიდორე რუსია 15 კ.; კალისტრატე კამურეიშვილ 20 კ.; სპირდონ ქანთარია 15 კ.; ესტატე ჯაბიძე 15 კ.; ვასილ ბოხუა 10 კაპ; ადილარ ქანთარია 20 კ.; ასლან ასათიანი 50 კ; აბრამ ვეისმანი 50 კ.; ვანო კიკაბიძე 50 კ.; ნოე კალანდაძე 50 კ.; კირილე ჯაიანი 25 კ.; კოსტა ფრანგიშვილი 20 კ.; №№ 50 კ.; ნესტორ ლეჟავა 50 კ.; ივანე ციკორიძე 50 კ.; ივანე მაჭავარიანი 60 კ.; ანდრუშა კლაჯეიშვილი 20 კ.; ერემია გორგილაძე 50 კ.; ივანე ჯანელიძე 1 მ.; ბესარიონ ჩომახიძე 1 მან.; მ. ლ. აროშიძე 50 კ.; მაქსიმე გუგუნავა 20 კ.; დავით კვანტალიანი 20 კ.; სტეფანე სტურუა 1 მ.; ანტონ ბერაძე 1 მ.; დიმიტრი სტეფანიდი 10 კ.; ირაკლი სიხარულიძე 1 მ.; გიორგი ფოცხვერია 20 კ.; სერაპიონ გრიგოლია 10 კ.; ასინა ასათიანი 20 კ.; ლავრენტი მიქაძე 40 კ.; აპოლონ ნანეიშვილი 1 მ.; მღვდ. ივლიანე ჭეიშვილი 50 კ.; რაჟდენ აბულაძე 25 კ.; ვლადიმერ კანდელაკი 50 კაპ.; კაპიტონ კახიანი 20 კ.; სევერიანე მესხი 50 კ.; ტიგრან არუთინოვი 30 კ.; იოსებ კახიანი 50 კ; ნიკო ცხვიტარია 1 კ.; გრიშა ურუშაძე 1 მ.; ელისო კალანდაძე 1 მ.; ვასასი დოლიძე 50 კ.; შერვანდი დოლიძე 50 კ.; ლავრენტი ჭუმბურიძე 50 კ.; ალექსანდრე ასათიანი 1 მ.; გრიგოლ კორძაია 50 კ.; ნინო კორძაიასი 50 კ.; პელაგია ნანეიშვილი 50 კ.; ანნა მიქელაძისა 1 მ.; თებრონე მიქელაძე 1 მ.; ტერეზია მიქელაძე 20 კ.; მელქისედეკ მიქელაძე 1 მ.; პელაგია რამიშვილი 50 კ.; ვანო ბახტაძე 50 კ.; ვერა შენგელია 50 კ.; ელისაბედ მამფორია 50 კ.; ანდრია კალაძე 20 კ.; ლუბა მამფორია 20 კ.; ფედოსია მიქელაძე 1 მ.; გრიშა მიქელაძე 50 კ.; რ. ნანეიშვილი 3 მ. სულ 61 მ. 98 კ.

ამასთანავე გვთხოვენ მადლობა გამოვუცხადოთ ფულის შეკრებაში დახმარებისათვის ერემია გორგილაძეს, ალექსანდრე კორძაიას, ადილარ ქანთარიას, ირაკლი სიხარულიძეს, გიორგი გვარამაძეს და ელისაბედ მამფორიას. სულ 146 მ. დღემდე იყო 1755 მ. 57 კ. შედგა 1901 მ. 57 კ.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი

### დიმიტრი მურვანიძეს.

1898 წელს მე თქვენგან ვისესხე 500 მანეთი. შეუძლებლობის გამო დღემდე ვერ გადაგიხადეთ ვალი. შარშან თქვენ მიჩივლეთ და სასამართლომ მოგისაჯათ 6 პროც., სულ 700 მ. მე თქვენ გაძლევთ ამ ფულს, მაგრამ არ დათანხმდით და მოითხოვეთ 10 პროც. თქვენი სურვილია 2000 მანეთათ დირებული მამული, რომელიც გირაოთ გაქვთ, წამართვათ. რადგან სასამართლოს გადაწყვეტილებას არ დაეთანხმეთ, გიწვევთ სამედიატორო სამართალში. მედიატორებათ ვასახელებ პ. ირეთელს და მღ. გრიგოლ შავიშვილს. ვადას გაძლევთ ერთ კვირას დაასახელოთ თქვენი მედიატორები.

(1—1) ალექსანდრე ვანიძე.


## განცხადებანი

### გამოცდილი მასწავლებლები

(მონაწილეობას ღებულობენ მასწავ. ქალებიც, მცოდნე ზედმიწევნით უცხო ენებისა).

ამზადებენ **ქალ-ვაჟთ**, ყველა **დაბალ** და **საშუალო** სასწავლებლებისათვის: **სამოქალაქო** სასწ., **სასულიერო, საფერშლო, ტეხნიკის, რეალურ, საქალებო** და **სავაჟო გიმნაზიის, სამასწავლებლო სემინარიისთვის**. ამზადებენ **სოფლის ერთ და ორ კლასიან მასწავლ.**, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, **ყველა ხარისხჩინზე**.

აგრეთვე ღებულობენ მოსწავლე ვაჟებს და ქალებს, რომლებმაც **ანბანი** სრულებით არ იციან.

**მსურველთ იყვანენ** მთელ ხარჯზედაც.

თვიურათ ფასი 5 მ.—20 მ.-დე, იყვანენ **პირობითაც**.

ამ ეზოშივე გამოცდილი **მკერავი** ქალი ღებულობს და კერავს **ზაკაზებს ხელმისაწვდომ ფასებში, იყვანს მოსწავლე ქალებს.**

ადრესი: ავჭალის ქუჩა, სახლი № 133, ბინა 26, (ვოგზლის პირდაპირ—ნახალოვკაში).

მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე, თავდება საღამოს 9 საათზე. (24—12)

ექიმმა
## არდაზიანმა

განაახლა ავათმყოფების მიღება. დროებით მე-2 თუმანოვის ქუჩა № 27. დილის 8—9 ნახ. საათ. და საღამოს 4—9 საათამდის. (0—თ—10)

კბილის ექიმი
### ს. ნ. მაცროსოვიჩ-სანოვიჩი.

დაპლომბის გაკეთება, ამოღება, ექიმობა და ხელოვნური კბილების ჩაყენება „პლასტინკით“ და „უპლასტინკოთ“ სამკურნალოების ფასებში. მიღება ყოველდღე დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 ს. ვერის დაღმართი № 21 50—21

# პროვოდნიკის
### ამხანაგობა
### რიგაში









1888

1908 წ.

## საფაბრიკო საწყობის განყოფილება ამიერ-კავკასიისთვის
## თფილისში სოლოლაკის ქუჩა, № 4.

### იყიდება ნარდათ და ცალობით

დარეზინებული წყალგაუვალი ზედა ტანისამოსი სულ ახალი საზღვარგარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა სულ იაფ ფასამდე.

დარეზინებული წამოსასხამები და პალტოები ბ-ნთ აფიცრებისათვის.

დარეზინებული მატერია სხვადასხვა მიზნისათვის.

რეზინის ღრუბელი.

საფარცხლები რქის რეზინისაგან.

№ 4.

### ცალობით ვაჭრობა დედამიწაზე საუკეთესო

№ 2.

### გალოშების „პროვოდნიკისა“

(24—6.—41).